# საქართველოს ს.ს.რ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 ივნისი, ოთხშაბათი, 1990 წ. № 119 (10 288) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ყრილობის

# მიმართვა

**საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გატო გივი გუმბარიძეს**

**საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭითანავას**

**ჩვენ,** 1990 წლის 22 ივნისს გამართული საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ყრილობის დელეგატებმა, განვიხილეთ და მივიღეთ საზოგადოების ახალი წესდება, რომელიც სამუალებას მოგვცემს საკავშირო ორგანოებისაგან დამოუკიდებლად წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა. ამიერიდან „შევარდენის“ სახით საქართველოში ერის გაჯანსაღებისა და ქართული სპორტის შემდგომი განვითარების საქმეს მოემსახურება დამოუკიდებელი, ეროვნული პროფკავშირული სპორტული საზოგადოება.

დღეს, როდესაც გადამწყვეტ ფაზაში შედის საყოველთაო მოძრაობა საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, უდიდესი როლი ენიჭება ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალის — ადამიანის გაჯანსაღებაზე ზრუნვას.

ამ თვალსაზრისით ჩვენ ფიზიკურ კულტურასა და მასობრივ სპორტს უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის გაჯანსაღება შეუძლებელია მშრომელთა გაჯანსაღებისათვის საჭირო პირობების შექმნის გარეშე.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ მიმართებით დღეს საქართველოში მართლაც, რომ სავალალო დგომარეობაა.

სწორედ ამიტომაცაა, რომ საავადმყოფო ფურცლებზე მშრომელთა ავადმყოფობის შედეგად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გაცემული თანხა წელიწადში 72 მილიონ მანეთს შეადგენს, საქართველოს ყოველწლიურად აკლდება 800 მილიონამდე მანეთის პროდუქცია და 340 მილიონი მანეთის ეროვნული შემოსავალი.

დღეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები მხოლოდ ჩემპიონთა მედლების გამოკეთვას ხმარდება, ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის განვითარებას კი მარტო პროფკავშირი აფინანსებს. ეს თანხა, რომელიც ერთ კაცზე 3 მანეთს არ აღემატება წელიწადში, თვითონ მშრომელთა ფულია, მათი პროფკავშირული საწევრო ანარიცხებია.

ერის გაჯანსაღება საყოველთაო საზრუნავია, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებაზე, მისთვის სათანადო პირობების შექმნაზე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ დღეს ერთადერთი ორგანიზაციაა რესპუბლიკაში, რომელიც მთელ თავის საქმიანობას წარმართავს მშრომელთა გაჯანსაღებისათვის, ამიტომ ბუნებრივია, იგი ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც უნდა იღებდეს სათანადო დაფინანსებას.

პრობლემის მასშტაბურობა, მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა და პირადად თქვენი გულისხმიერება გვინერგავს რწმენას, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო, რესპუბლიკის მთავრობა, უმოკლეს დროში განიხილავს ამ საკითხს და დადებითად გადაწყვეტს მას. ჩვენ კი ეროვნულ ნიადაგზე მყარად დაფუძნებული, დამოუკიდებელი სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენლები კონკრეტული საქმეებით ვუპასუხებთ მზრუნველობას და მეტი ეფექტურობით ვიღვაწებთ ერის გაჯანსაღებისათვის, ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის.

**მიღებულია საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ყრილობაზე**

1990 წლის 22 ივნისს.


ITALIA'90

# მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში


25.06. **ბენუა: ირლანდია — რუმინეთი 5:4 (0:0, 0:0)**

25.06. **რომი: იტალია — ურუგვაი 2:0 (0:0)**

# მერვედფინალიც მიიწურა

**ახლანდელი** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში მეტისმეტად ხანგრძლივი გამოდგა: 8 ივნისს დაწყებული გათამაშება ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 8 ივლისს დამთავრდება, მაგრამ, როგორც ხედავთ, დრო მაინც შეუმჩნევლად, ულმობლად გადის და ეს დიდებული საფეხბურთო სანახაობაც თანდათან ფინიშისკენ მიემართება. გუშინ გაიმართა მერვედფინალური ეტაპის ბოლო ორი შეხვედრა.

უცხოეთის გაზეთები ახლა ბევრს წერენ მერვედფინალში ბრაზილიისა და ჰოლანდიის გუნდების ფატალური მატჩების შესახებ. ორივე ქვეყანა ფავორიტთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, მაგრამ ზოგიერთი მიმომხილველი სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ ტრაგედია იყო გათამაშების მეორე ეტაპზე ბრაზილია — არგენტინის, ავრეთვე გფრ — ჰოლანდიის დაწყვილება, ვინაიდან მერვედ ფინალში სხვა, გაცილებით უფრო დაბალი რანგის მატჩებიც იყო, ვთქვათ, ჩეხოსლოვაკია — კოსტარიკა, ირლანდია — რუმინეთი, ან ესპანეთი — იუგოსლავია. კერძოდ, რუმინეთისა და ირლანდიის გუნდების შეხვედრა არსებითად მხოლოდ მათი ქომაგების ინტერესის საგანს წარმოადგენდა და არა თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთისა.

ბევრს წერენ იმაზეც, რომ არგენტინისა და ბრაზილიის გუნდების თამაშის უშუალო მსვლელობის დროს, ზედ მინდორზე, არგენტინელმა დიეგო მარადონამ ხაზს გვერდით გასვლა ითხოვა და სახალხოდ, ყველას თვალწინ ბუცები გამოიცვალა. ცნობილია, რომ მარადონა განთქმული ფირმა „პუმას“ ბუცებით თამაშობს, ჩემპიონატის დაწყებამდე მას თითქმის 30-მდე წყვილი ბუცი მოუტანეს გასასინჯად, მან საგანგებოდ აირჩია ერთი წყვილი და, აი, ახლა კი დემონსტრაციულად გამოიცვალა იგი. ალბათ, დადგინდება რომელი ფირმის ბუცები გამოიცვალა მარადონამ და რომელი ფირმისა ჩაიცვა, მაგრამ ამგვარი ჟესტი უცხოეთში დიდ რეაქციას იწვევს. ფირმა ვალდებულია ზუსტად გაარკვიოს ყველაფერი...

ცნობილი გახდა ისიც, რომ ბრაზილელთა უფროსმა მწვრთნელმა სებასტიან ლაზარონიმ ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა ნაკრების ხელმძღვანელის პოსტიდან თავისი წასვლის შესახებ, ახლა კი, მერვედფინალში დამარცხების შემდეგ, ბრაზილიელები უკვე ახალ უფროს მწვრთნელს ეძებენ. ჯერჯერობით ცნობილია ორი კანდიდატი — ფალკაო, რომელიც სულ ახლახან გამოდიოდა მწვანე მინდვრებზე და კარლოს ალბერტო პერეირა, რომელიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე სათავეში ედგა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებს.

ირანში სულ ახლახან მოხდარმა საშინელმა მიწისძვრამ დიდი გაფიცვა ჰპოვა მთელ მსოფლიოში, მიწისძვრის მსხვერპლთა დასახმარებლად ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს განზრახული აქვს დასავლეთ გერმა-


იხ. მე-4 გვ.

# ბოდიში, დეიდაბო!

**უკვე** თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა თბილისელმა მშვილდოსანმა ნატო ნასარიძემ საიმედოდ დაიმკვიდრა ადგილი ფავორიტთა რიცხვში, თუმცა საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთშიც ამ სტატუსს უფრო ასაკოვანი მსროლელები აღწევენ ხოლმე. წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატშიც, რომელიც ეს-ესაა დამთავრდა ბრესტში, ნატო თამამად ჩაება უძლიერესთა დავაში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მან ე. წ. „ფიტას“ დიდი წრის ფინალში 319 ქულა მოიგოვა. გაიმარჯვა გამოცდილმა ტირასპოელელმა, მშვილდოსანმა ნატალია ვჯლეევამ (326 ქულა), მეორეა — ჩებოქსარელი ირინა სოლდატოვა (322 ქულა).

ნატო ნასარიძე „მართვეს“ გუნდის წევრია. მას ავარჯიშებენ — ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ალექსანდრე მეფეევიძე.

ხურათზე: ნატო ნასარიძე.

# დებიუტანტიც ასეთი უნდა

**წყალბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის დასკვნით ეტაპზე თბილისის არმიის სპორტული კლუბის წყალბურთელთა გუნდის ნაცვლად, რომელიც აუტსაიდერთა რიგებში იმყოფებოდა, საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდულ კოლექტივს ნება დართო გაეგრძელებინათ ჩემპიონატში მონაწილეობა. დაგვეთანხმებით, უპრეცედენტო შემთხვევაა, მაგრამ სტუდენტებმა პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა და ტაშკენტის სუსტ გუნდთან დასანანი მარცხი რომ არა, ალბათ, უმაღლესი ლიგის საგზურსაც დაეუფლებოდნენ. საბოლოოდ, უნივერსიტეტელები VIII ადგილზე გამოვიდნენ, რაც ახლად შექმნილი კოლექტივისათვის დიდი წარმატებაა და ნუ გაგვიკვირდება, თუ სულ მალე თბილისის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდს უმაღლესი ლიგის ბინადართა შორის ვიხილავთ.

**ოთარ მიმინოშვილი,**
**დოცენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტლუბის თავმჯდომარე.**

# ლატვიური სპორტის კვირეული

**რიგაში, „დაუგავას“ ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ლატვიის ზაფხულის ოლიმპიური კვირეული, რომელსაც პრაოფიციალურად ლატვიელთა მსოფლიო თამაშებს უწოდებენ.**

**კვირეულის** პროგრამაში ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთისა და მძლეოსნობის გარდა შეტანილია სპორტის ეგზოტიკური, მაგრამ ლატვიელთა შორის ერთობ პოპულარული სახეობები ნოვუსი, სკეითბორდი, პლაჟის ფრენბურთი.

კვირეულში მონაწილეობის მისაღებად რიგაში ჩავიდნენ უცხოეთში მცხოვრები ამ ეროვნების წარმომადგენლები: მათ შორის აშშ-დან, კანადიდან, შვეიციდან, დასავლეთ გერმანიიდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან.



**საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში**



**I ლიგა**

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში სოხუმის დინამელებმა 24 ივნისს წარმატებას მიაღწიეს ვორონეჟში. მათ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი „ფაკელი“.

**მთავრობამ მიიღო დადგენილება**

# ფოთში წარმოჩინდება საქართველო

**იმ** საკითხებს შორის, რომელიც საქართველოს სპორტულ ინტერესებს უკავშირდება, დღეს წინა პლანზეა წამოწეული წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის ფოთში ჩატარების თემა. ასეთი რანგის ასპარეზობა უდავოდ საპატიო საქმეა ყველა ქვეყნისთვის, მაგრამ იგი დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს მასპინძლებს.

წყალსათხილამურო სპორტში 1991 წლის ევროპის ჩემპიონატის ფოთში გამართვასთან დაკავშირებით საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გუშინწინ იმსჯელეს, მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციული დადგენილება. სხდომის შემდეგ „ლელის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარეს შ. პაპიძეს.

**● ბატონო შალვა, საკითხი თქვენ გაიტანეთ პრეზიდიუმის სხდომაზე, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მაშინ, როცა ახალი მაღალი რანგის შეჯიბრებამდე მხოლოდ ერთ წელზე ცოტა მეტი დრო დარჩა, დაგვაინდა სადირექტივო დოკუმენტის მიღება?**

— დრო მართლაც ცოტა რჩება, მაგრამ დადგენილების მიღება ხელოვნურად არ გაგიაურებულა. საკმარო იყო დეტალურად გათვლილ-განგარიშებულიყო ყველაფერი, ბევრი წინადადება — სრულყოფილი და დაკონკრეტებული, თვით ფოთიდან უნდა წამოსულიყო, სამთავრობო დოკუმენტის მიღება ჰაიჰარად ხომ არ მოხდებოდა. ბევრი ორგანიზაციული საკითხის შეჯერება გახდა საჭირო, რაც თავის მხრივ დროს მოითხოვდა.

**● გამოდის, რომ ახლა ორგანიზაციული საკითხები დაზუსტებულია და დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სადირექტივო დადგენილების შესრულება?**

— რა თქმა უნდა! პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, რომ შეიქმნას ჩემპიონატის მომზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ლორთქიფანიძე. პირველი სხდომა უახლოეს დღეებში ჩატარდება.

საორგანიზაციო კომიტეტი კონკრეტულად გადაწყვეტს სამეურნეო საკითხებს, ეტაპობრივად მიიყვანს ბოლომდე იმ მოთხოვნებს, რაც სამთავრობო დადგენილებითაა გადაწყვეტილი.

**● დადგენილების შესრულების პირველ ეტაპზე ხომ არ ხედავთ რაიმე დაბრკოლებას, რაზეც შეიძლება გაართულოს ჩემპიონატისთვის მზადება?**

— სირთულეები, ცხადია იქნება, მაგრამ ისინი ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავძლიოთ, დღეს უკან დახევა აღარ შეიძლება. ახლავე ძირითადად უკვე მზადაა მთავრობის მეორე დადგენილების პროექტი, რომელიც მთელ რიგ სამეურნეო საკითხებს მოიცავს. ამ დადგენილებასაც მალე მიიღებს პრეზიდიუმი.

ევროპის ჩემპიონატი საქართველოში პირველად გვესტუმრება და მისი საკადრისი მასპინძლობა ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა. მასპინძლობის უფლება დიდი ბრძოლით მოვიპოვეთ, სპორტული შეჯიბრებები მსოფლიოს ახლოს აცნობს ქვეყნებს, ჩვენ კი დღეს ძალიან გვჭირდება რომ ყველამ გაგვიცნოს.

# ანაპურნა ელის ქართველებს

მწვერვალი ანაპურნა

**თბილისი** მთამსვლელისათვის ჰიმალაიში მოხვედრა სახუკვარი ოცნებაა, რადგან იგი დღესაც მთამსვლური კლასის შეფასების კრიტერიუმია.

1957 წელს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ნეპალის მეფე. მთიანი ქვეყნის წარმომადგენელმა ინახულა საქართველოს ალპური კლუბიც, სადაც გაეცნო ქართველ მთამსვლელთა წარმატებებს. მოხიბლულმა მისმა უდიდებულესობამ ქართველები მიიწვია ნეპალში და ჰიმალაიზე ექსპედიციის მოწყობა შესთავაზა... სამწუხაროდ, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ჰიმალაიში ჩვენი მთამსვლელების გამგზავრება მხოლოდ ახლაღა ხერხდება.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... არც ერთ ქართველ მთამსვლელს არ ჭქონია ბედნიერება ფეხი შეედგა რომელიმე რვაათასიან მწვერვალზე.

ბოლო წლებში საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების ერთმა ნაწილმა, რომელშიც გაერთიანებულია თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და სვანეთის ახალგაზრდა მთამსვლელები, განახორციელა სასიმაღლო ასვლები, კერძოდ, პამირისა და ტიანშანის შვიდიათასიან მწვერვალებზე. დაილაშქრა: კორჟენევსკაიას, კომუნიზმის, ლენინის (ორჯერ) პიკები და მწვერვალი ხანთენგრი.

ახლა უკვე თადარიგს ვიჭერთ ჰიმალაიში გასამგზავრებლად.

1988 წელს ნეპალის ტურიზმისა და სპორტის სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად ქართველი მთამსვლელები 1991 წლის იანვრისათვის მიწვეულნი არიან მწვერვალ ანაპურნაზე (8091 მ) ასასვლელად.

ამგვარად, ქართველ მთამსვლელთა მრავალი თაობის ოცნება — მრისხანე რვაათასიანებს შესჭიდებოდნენ, ფრთებს ისხამს.

ჰიმალაიში ექსპედიციის მოწყობა ურთულესი საქმეა. გარდა ენთუზიაზმის, მაღალპროფესიულობისა და ასვლისათვის ფიზიკურად მზადყოფნისა, ღონისძიება საჭიროებს მთელი რიგი ორგანიზაციული და მატერიალური საკითხების მოგვარებას.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ქართველიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის, საქართველოს ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის, ახლადშექმნილ ალპინისტურ კლუბ „კავკასიონის“, რომლის წევრთაგან დაკომპლექტდება გუნდი, აგრეთვე სპორტსახკომის ძალისხმევით ნაწილი ორგანიზაციული საკითხებისა უკვე გვარდება. კერძოდ, დადებულია ხელშეკრულება „ჰიმალაი ექსპედიშენს კომპანისთან“, რომელიც ადგილზე მოემსახურება ექსპედიციას, დაკვეთილია ნაწილი მთამსვლური საჭურვლისა, მათ შორის, ჟანგბადის მოწყობილობა, დაგეგმილია და მზადების პროცესშია 1990 წლის პამირ-ტიანშანის ექსპედიცია და სხვა.

მომავალ ექსპედიციას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართული ეროვნული სპორტის ერთ-ერთი სახეობის, ალპინიზმის შემდგომი განვითარების პერსპექტივას სახავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპედიცია ანაპურნაზე არის პირველი რეალური ცდა საკავშირო სპორტსახკომის გარეშე მოეწყოს ქართველ მთამსვლელთა ასვლა ჰიმალაის მთიანეთში და საერთაშორისო ასპარეზზე გაცხადდეს საქართველოს სპორტული პრესტიჟის დაცვის ეროვნული ასპექტი.

ჰიმალაის ექსპედიცია (ოფიციალური სახელწოდება „ანაპურნა-91“), შეიძლება ითქვას, დაიწყო 1990 წლის მოსამზადებელი ასვლებით პამირსა და ტიან-შანში. იგი ითვალისწინებს საექსპედიციო აღჭურვილობის წვრილმანსაც კი, რომლის უნებლიე გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა კორექტივი შეიტანონ ასვლის წარმატებაში, ამიტომ საჭიროა საზოგადოებრიობის მაქსიმალური მხარდაჭერა და დახმარება, რათა ექსპედიცია, რომელსაც ადგილზე დიდი ხნით მოუწევს მუშაობა, ყოველმხრივ მომზადებული გაემგზავროს ნეპალს.

საგულისხმოა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის (დირექტორი გ. ქაშაკაშვილი) განზრახვა, გენერალური სპონსორობა გაუწიოს ამ მამაცშვილურ საქმეს.

დახმარების სურვილი გამოთქვა და ექსპედიციის სპონსორობა იკისრა აგრეთვე ავსტრიულმა ფირმამ „აბვ“-მ (პრეზიდენტი ლ. ბაუზბეკი). ბატონ ლეოპოლდს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ ქართული ექსპედიციის დაფინანსებაში.

1991 წლის იანვრამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი.

გასაკეთებელი საქმე კი უამრავია. დრო არ ითმენს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო-ეროვნულმა უწყებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა საშური ყურადღება უნდა გამოიჩინონ და თავიანთი მორალური მხარდაჭერითა და მატერიალური დახმარებით ხელი შეუწყონ ანაპურნაზე ქართველთა ასვლის ღირსეულად დაგვირგვინებას.

• • •

**ამ** ზაფხულს პამირისა და ტიან-შანის მთიანეთში ჩატარდება ქართველ მთამსვლელთა სასიმაღლო ექსპედიცია, რომლის მიზანია საბოლოოდ დაადგინოს მოიერიშე ჯგუფი და ანაპურნაზე გამგზავრებამდე საწვრთნო ასვლები შვიდიათასიან მწვერვალებზე.

• • •

ამ დღეებში საქართველოს მინისტრთა საბჭოში შედგა ჰიმალაის ექსპედიციის სამთავრობო-საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელი.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ლორთქიფანიძემ.

**გია თორთლაძე,**
**ექსპედიცია „ანაპურნა-91“-ის წევრი.**

• • •

**ლია,** ქართველ მთამსვლელებს ახლა ჰიმალაის ექსპედიციისათვის მზადების ცხარე დღეები აქვთ. ამ პერიოდს დაემთხვა საკავშირო სპორტსახკომის ალპინიზმის განყოფილების უფროსისა და სახელმწიფო მწვრთნელის ვლადიმერ შატაევის ვიზიტი თბილისში. საქმე ის გახლავთ, რომ სახელმწიფო მწვრთნელი დიდ დახმარებას უწევს ჰიმალაიში პირველი ქართული ექსპედიციის მოწყობას. კერძოდ, მან ალპინიზმის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ე. მისლოვსკისთან ერთად ალპინიზმის საერთაშორისო ფედერაციისა და ნეპალის მთავრობასთან გვიშუამდგომლა, რათა ანაპურნაზე (მწვერვალზე პირველამსვლელები 1950 წელს იყვნენ ფრანგები ერეოგი და ლაშენალი) ასვლის უფლება მიგვეღო. ამასთან, იგი უხვად ამარაგებს მომავალი ექსპედიციის წევრებს სათანადო ლიტერატურით, ინსტრუქციებით, აძლევს კონკრეტულ დავალებებს და რჩევას.

ამ მხრივ მეტად საინტერესო იყო მისი ლექცია, რომელიც საქართველოს ალპიურ კლუბში წაიკითხა. „თოვლის ჯიქი“ ვ. შატაევი ამ გაზაფხულს, ევერესტზე ამერიკა-ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი საერთაშორისო ექსპედიციის საბჭოთა გუნდს, ხელმძღვანელობდა. ეს ექსპედიცია მიძღვნილი იყო „დედამიწის დღისადმი“, რომელიც 22 აპრილს აღინიშნა.

ასვლის საერთო ხელმძღვანელი იყო ამერიკელი ჯიმი უიტაკერი, რომელმაც სამივე ქვეყნის მთამსვლელებს ჯერ სიეტლში მოუყარა თავი და მთამსვლელებმა, უფრო ზუსტად, ევერესტზე ამსვლელებმა საწვრთნელი ასვლა მოახდინეს იქვე, ძალიან ახლოს მდებარე მწვერვალ რეინიერზე (4.369 მ), შემდეგ კი ეწვივნენ ჰიმალაის მთიანეთს. საბჭოთა გუნდში 7 ვაჟი და ერთი ქალი, ირკუტსკელი ელენა ივანოვა იყო. იგი ახლა პირველი საბჭოთა ქალია, რომელმაც ფეხი შედგა „მსოფლიო ბანზე“ — ევერესტზე (8.8480).

ვ. შატაევმა ილაპარაკა ექსპედიციის დრეკადობა, ასვლის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნიკის თანამბაზე, ეგისაკუთრებით დამამცველი ყურადღება მიაქცია ბალონების გამოყენებასა და მის მიზანშეწონილობაზე.

ლექციის დასასრულს გავესაუბრე ვ. შატაევს:

**● რას იტყვით ქართველ მთამსვლელთა ჰიმალაიის ერთ-ერთ რვაათასიან მწვერვალზე ასვლის შესახებ?**

— ეს ფრიად გაბედული ნაბიჯია, რომლის გადადგმა მიზნად დაუსახავთ ახალგაზრდა მთამსვლელებს და მას მხოლოდ მივესალმები. დროა, რომ თქვენი მთამსვლელობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავიდეს და თავისი სიტყვა თქვას ჰიმალაიში. იქ ყოველი ასვლა ხომ თანამედროვე სასიმაღლო ალპინიზმის ეტალონად ითვლება.

**● როგორ აფასებთ მათი წარმატების შანსებს?**

— აბა რა გითხრათ, ალპინიზმში არ არსებობს წვრილმანი, ამდენად, რომ თავი დავანებოთ მთამსვლელთა ფიზიკურ მომზადებასა და საჭურველს და ა. შ., ხშირად, თვით სპორტსმენთა ხასიათების შეუმატკივლება განაპირობებს წარმატებას, რაც ხანგრძლივი, ერთობლივი ასვლების შედეგად ყალიბდება. სამწუხაროდ, ამ მხრივ თქვენს ახალგაზრდობას არ ვიცნობ და გადაჭრით რამის თქმა მიჭირს.

**● როგორც ცნობილია, ევერესტზე პირველი საბჭოთა ექსპედიციის წევრებმა 1982 წელს მზადების პირდაპირ „ჯოჯოხეთური“ პირობები გაიარეს, თავისი ბაროკამერითა და დატვირთვათა სხვა მოთხოვნით...**

— არავითარი წინასწარი ბაროკამერა. ევერესტზე ამსვლელს ორი 7-ათასიანი მწვერვალის დაპყრობაც ეყოფა „მარაგად“. ეს ნორმა კი თქვენს ბიჭებს უკვე, რამდენადაც ვიცი, ორმაგად აქვთ შესრულებული. მთავარია, ამინდმა უამინდოს საქართველოს ექსპედიციას. ერთი პრაქტიკული რჩევა მაინც მინდა მივცე მთამსვლელებს. ნეპალში ძალიან ცუდი სასმელი წყალია, რასაც ხშირად კუჭის დაავადება მოაქვს. ამიტომ ბიჭებმა თავი უნდა შეიკავონ და სხვა სითხით, იგივე ლუდით, უნდა მოიკლან წყურვილი.

ვფიქრობ, თქვენს ექსპედიციას არაფერმა სხვამ ხელი არ უნდა შეუშალოს. ახლა ყველაფერი დარჩენილი დროის რაციონალურად (ექსპედიცია ამ ზამთარს შედგება) გამოყენებაზე იქნება დამოკიდებული მოსამზადებლად.

**ეხაუბრა უშანგი ჭიჭინაძე.**



## საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

**თბილისი. სხი-ს სტადიონი. 24 ივნისი.**

**„აკადემია“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ქიათურა) 6:10 (6:3).**

მეტოქეებმა პირველი წრის შეხვედრა თავსხმა წვიმაში ჩაატარეს და, ცხადია, ნორმალური თამაშის საშუალება თითქმის არც ჰქონდათ. ამჟამად ორივე გუნდი აღმავლობის გზაზეა, მატჩისადმი ინტერესს კი ისიც აძლიერებდა, რომ გამარჯვებული ქვეჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებდა.

„პირველი სვლები“ აშკარად „გამოზომილი“ გახლდათ — მეტოქეები ფრთხილობდნენ, რადგან შეცდომის ფასი ძალიან დიდი იყო. სტატიკურ პოზიციებში ჭიათურელები სჯობნიდნენ თბილისელებს, რაც შეეხება დინამიურ სიტუაციებს, უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო — სტუდენტებმა რამდენჯერმე შეუტიეს კიდეც, მაგრამ უშედეგოდ.

გუნდებმა მეორე ტაიმის შუა პერიოდამდე ქულები მხოლოდ საჯარიმოების გატანით მოიპოვეს. მხარეთა დამრტყმელების — ბესელიას და შეყლაშვილის დუელში სრული თანაფარდობა იყო: ორივემ ორ-ორი საჯარიმო გაიტანა. შემდეგ ბესელიას მხარი აუბეს პარტნიორებმა და მათ ორი აუკარა სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ სტუმართა ლელო რაღაც სასწაულით გადარჩა.

ჭიათურელებმა თამაში კონტრიერიშებზე ააგეს და გაუმართლათ კიდეც: შეტევის შემდეგ ზედ კუთხის ალამთან დანიშნული აუტი მოიგო იაკობიძემ და ლელო გაიტანა. დარჩენილ დროში აკადემიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ამრიგად, „იმერეთმა“ გამარჯვებით დაასრულა ჩემპიონატის პირველი ეტაპი.

• • •

**თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 24 ივნისი.**

**„უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „ასოციაცია“ (თბილისი) 20:29 (6:14)**

29 მაისს „ზოოვეტთან“ მოგების (18:16) შემდეგ უნივერსიტეტელებს არ გაუმარჯვნიათ. ამიტომაც მათ თამაში იერიშებით დაიწყეს და ერთხანს დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა — „ვეტერანებმა“ ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ მატჩიც მოიგეს.

• • •

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი
## ● უმაღლესი ლიგა

**„ელმავალი“ (თბილისი) — „სიბტიაუმაში“ (კრასნოიარსკი) 38:9 (23:6)**

კრასნოიარსკელები უმაღლესი ლიგის აუტსაიდერებს განეკუთვნებიან. ეს გუნდი შარშან ლიგის „შტატის გაზრდაში“ მოჰყვა და მისი თამაშის დონე აშკარად არ შეესაბამება საკავშირო სტანდარტებს, ამიტომ მატჩის შედეგები წინასწარ არავის აეკვებდა.

თბილისელებმა საქმე პირველ ტაიმშივე „მოაგვარეს“. ანგარიში ჩავლეიშვილმა გახსნა არეკნით. ცოტა ხანში კარგად ორგანიზებული მოლის შემდეგ მასპინძლებმა მარაო გაათამაშეს და მარჯანიშვილმა გაიტანა საცერაძის მიერ გარდასახული ლელო.

რკინიგზელებს ყველა რგოლში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ — მორკინალებმა ერთიანად „წალეკეს“ მეტოქე, ხოლო სამმეოთხედელები თავისუფლად მოძრაობდნენ მთელს მოედანზე.

მორკინალებმა უპირატესობა ორჯერ გამოიყენეს: პირველად კუსრაშვილმა დაასრულა ჯგუფური იერიში, მეორედ კი ხუთმეტრიანი შერკინებიდან დროულად გადასცეს ბურთი ერთმანეთს და გია გიუნაშვილს ლელოც გაატანინეს. ერთი ლელო გარდასახა საცერაძემ, რომლის გადაცემის შემდეგ ვაშაძემ უფრო დააწინაურა „ელმავალი“.

პირველ ნახევარში სტუმრებმა მხოლოდ ორი საჯარიმოს გატანა შეძლეს.

თბილისელებს არც მეორე ტაიმში შეუწყვეტიათ შეტევები, მაგრამ მათ სიმწვავე აკლდათ. ეს უთუოდ შუადღის სიცხის ბრალი იყო. რეზო ჯაფარაშვილის აქტიურობის წყალობით რკინიგზელებმა კიდევ ორი ლელო გაიტანეს: ორივეჯერ გაგნიძემ ისახელა თავი. მარჯანიშვილმა ორ გარდასახვას ერთი საჯარიმოც დაუმატა, ხოლო ციმბირელების მიერ გატანილი ერთი საჯარიმო უკვე აღარაფერს სწყვეტდა.

„ელმავალმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: საცერაძე, მარჯანიშვილი, ჭეიშვილი, თავაძე, ჩავლეიშვილი (მანთიძე), ქერაული, შუბითიძე (კოკილაშვილი), კუსრაშვილი, კ. გიუნაშვილი, ჯაფარაშვილი, ხუადე (გაგნიძე), რაფავა, გ. გიუნაშვილი, ნარიმანიძე.

**ვერა რატიშვილი.**

## ფსიქოლოგია — სპორტის სამსახურში

**თანამედროვე,** პროფესიულ სპორტში სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლებელია სპორტსმენის სრული ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე. ისიც ცნობილია, თანამედროვე ქართული სპორტული ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, ძლიერ ჩამორჩება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ამავე დარგში მიღწეულ შედეგებს, საქართველოში არ არსებობს სპორტის ფსიქოლოგიის მეცნიერულ-თეორიული საფუძველი. სწორედ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად წარმართავს თავის მუშაობას საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაცია, რომელიც 24 ივნისს დაფუძნდა.

დამფუძნებელმა კონფერენციამ ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე ამირან გრიგოლავა. ვიცე პრეზიდენტებად აირჩიეს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე გივი დვალი და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე მამია ყოლბაია. დელეგატთა ერთხმოვანი თანხმობით ასოციაციის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს პროფესორი ვლადიმერ ნორაკიძე.

## მოკლედ

**ბორში** გამართულ სომხეთისა და საქართველოს მოსწავლე მოკრივეთა დავა მალე საკავშირო სპარტაკიადის რინგზე გაგრძელდება, რომელიც მოსკოვში გაიმართება. ამჯერად კი ქართლის ამ ქალაქში მომავალმა მეტოქეებმა ძალა მოსინჯეს „დიდი რინგის“ წინ.

ამხანაგურ მატჩში გამარჯვება მასპინძელ მოკრივეებს ხვდათ წილად 17:7.

**„ლელოს“ კორ.**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ეშალონი ჯავი

**„სამგურალი“ (წყალტუბო)— „შევარდენი-1906“ (თბილისი) 0:2 (0:1)**

**წყალტუბო. 26 მაისის ხახ. სტადიონი. 24 ივნისი.**

**„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, ცნობილაძე, ბერიძე, ვ. ფესტვენიძე, რ. იობიძე (ჯანელიძე), კუხიანიძე (წიქარიშვილი), ხუნდაძე, ლ. ფესტვენიძე, გოგელიძე, პ. იობიძე (ხარაბაძე).**

**„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიოზაშვილი, ხამხარაძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე (ზეიკიძე), ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ყიფიანი, ქობულაშვილი, მინაშვილი.**

**მსაჯები: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ვ. ხეჩოიანი, დ. მენთეშაშვილი (ორივე — თბილისი).**

**შეხვედრა** ორმხრივი იერიშებით დაიწყო. პირველად ბურთის გატანის შესაძლებლობა მასპინძლებს ჰქონდათ მეათე წუთზე, მაგრამ ჯ. იობიძის დარტყმას კარგად შეურჩია ადგილი თბილისელთა მეკარე დოლიძემ. ერთი წუთის შემდეგ წყალტუბოელთა კარს სახიფათოდ შეუტია ყიფიანმა, რომლის დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. ამის შემდეგ სათამაშო უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, ჯარიმიდან გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ხელსაყრელ პოზიციაში გავიდა ლ. ფესტვენიძე, მაგრამ დარტყმა ამჯერადაც არაზუსტი აღმოჩნდა. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ქობულაშვილის დარტყმა კუთხურზე მოიგერია მეკარე მიქაძემ. 26-ე წუთზე წყალტუბოელთა კარში დაინიშნა ჯარიმა, რომელიც ზუსტად შეასრულა მინაშვილმა და გახსნა ანგარიში —1:0.

მეორე ტაიმი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. 50-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მიეცა წიქარიშვილს, მაგრამ, ამ სიტუაციაში კარგად ითამაშეს მცველებმა. სტუმრებმა როგორც პირველი, ისე მეორე ტაიმი კონტრშეტევებზე ააგეს და ამან შედეგი გამოიღო. 66-ე წუთზე ყიფიანი პირისპირ გავიდა მეკარესთან და ანგარიში გაზარდა—2:0.

მესამე ბურთის ავტორიც მინაშვილი გახლდათ, იგი ოსტატურად გასცდა რამდენიმე წყალტუბოელ მცველს, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ზუსტად დაარტყა კარში 3:0.

ამრიგად, გაიმარჯვა „შევარდენმა“ და გათამაშების ცხრილში ქულით გაუსწრო თავის ძირითად მეტოქეს — წყალტუბოს „სამგურალს“.

**ომარ ჯუმბურიძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„იბერია“ (თბილისი) — „მზიური“ (ბალი) 3:1 (3:0)**

**თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 25 ივნისი.**

**„იბერია“: ხაპოვი, მაჭავარიანი, ცხადაძე (ჯამარიული), ჰედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია (ყიფიანი), ჩიქოვანი (ყიფიანი), კაპარავა, ყველაშვილი, გოგიჩაიშვილი.**

**„მზიური“: მაკახარაშვილი, ა. კვეკვეხკირი, ფარფალია, დ. ღურწკაია (დ. ჩხეტია), ხურცილავა, თ. ღურწკაია, ჯღარკავა (ხარჩილავა), ეთერია (ზ. კვეკვეხკირი), ბალტუშნიკაი, გაბიხონია, ჭანთარია.**

**მსაჯები: რ. ტალიაშვილი. მ. ჭელიძე, ხ. შალამბერიძე (ხამივე — თბილისი).**

**ვიდრე** მატჩის ანალიზს შევუდგებოდეთ, გაცნობებთ, რომ ვილნიუსის „ქალგირისის“ ორმა ფეხბურთელმა — ბალტუშნიკასმა და პეტრაუსკასკმა სურვილი გამოთქვეს, ეთამაშათ გალის „მზიურში“ და კლუბმაც სეზონის ბოლომდე გააფორმა მათთან კონტრაქტი.

თამაში კი ორმხრივი იერიშებით დაიწყო, თბილისელთაგან ქეცბაია, რევიშვილი, კაპარავა და ყველაშვილი აქტიურობდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში თამაშის 23-ე წუთზე, როდესაც ქეცბაიას ჩამოწოდებულ კუთხურს კარგად შეურჩია ადგილი და თავური დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია— 1:0, სტუმართაგან გაბისონია, ბალტუშნიკასი, ჯღარკავა იყვნენ კონტრიერიშების ინიციატორები, მაგრამ „იბერიის“ დაცვა და მეკარე ხაპოვი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. თუმცა ტერიტორიულ უპირატესობას აშკარად თბილისელები ფლობდნენ, 28-ე წუთზე რევიშვილის კარგად გააზრებული კომბინაცია გოლით დაასრულა გოგიჩაიშვილმა — 2:0. მესამე ბურთის თანაავტორი კვლავ რევიშვილი გახლდათ, მან საჯარიმოში კაჭარავას ჩაწოდა ბურთი, აქ დ. ღურწკაიამ უხერხულად მოიგერია ბურთი, რომელიც საკუთარ კარში ჩაჯრა.

ამის შემდეგ გალელები მთელი ძალით უტევდნენ მასპინძელთა კარს, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა. თამაშის მეორე ნახევარიც სტუმართა იერიშებით დაიწყო — გაბისონია, ჭანთარია, და ახლადშემოსული ხარჩილავა შორი დარტყმებით ხშირად ამოწმებდნენ მეკარე ხაპოვის მზადყოფნას, მაგრამ უშედეგოდ. პრესტიჟის ბურთის გატანა „მზიურმა“ 77-ე წუთზე შეძლო, როდესაც ჯიშკარიანმა საჯარიმოზე „მოცელა“ სტუმართა ერთ-ერთი თავდამსხმელი. გაბისონიამ ზუსტად შეასრულა პენალტი — 1:3.

მატჩის კიდევ ერთი დასამახსოვრებელი მომენტი იყო ფარფალიას სოლო რეიდი და უძლიერესი დარტყმა შორი მანძილიდან, ხაპოვმა ბურთი თავგანწირულ ნახტომში მოიგერია. ამ ეპიზოდში ფარფალიამ ტრავმა მიიღო და გალის „მზიურს“, რომელსაც უკვე გამოყენებული ჰქონდა შეცვლათა „მარაგი“, ათი კაცით მოუწია ბოლო ათი წუთის თამაში.

**ინგა ჩახვაშვილი.**

**„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 0:0, (0:0)**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 25 ივნისი.**

**„ქუთაისი“: ჩხეიძე, ხუხიაშვილი (დვალიშვილი), თორღვაშვილი, ბზიკაძე (წოფწოვაძე), თევზაძე, ნადირაძე, პაიკაძე, ჯანაშია, შენგელია (სებისკვერაძე), დარახელია, ფაიქიძე.**

**„ლიახვი“: ხაჩიროვი, ვ. გობოზოვი, კანნიაშვილი, ი. გობოზოვი (ძაგოევი), მიხაილოვი, გახიევი, ზვიადგინცევი, მარგიევი, მ. ხანაკოევი (ქოქოევი), ზუბეჯიშვილი, ჯიოევი.**

**მსაჯები: მ. მალაღურაძე, თ. ლაცაბიძე, თ. კურტანიძე (ხამივე — თბილისი).**

**საკმაოდ** კარგი სტარტის შემდეგ, როცა „ქუთაისი“ კარგა ხნით ერთპიროვნულად ლიდერობდა ჩემპიონატს, გუნდი, სხვადასხვა მიზეზების გამო, წარუმატებლობის ზოლში აღმოჩნდა. საკმარისია ითქვას, რომ ქუთაისელებმა უკანასკნელი რვა შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგეს, ხუთი წააგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. 24 შესაძლებლობიდან მათ 7 ქულა მოაგროვეს და პირველ სამეულსაც გამოეთხოვნენ.

ასეთ რთულ პირობებში უმასპინძლა „ქუთაისმა“ გათამაშების აუტსაიდერს „ლიახვს“ და ამჯერად დამაჯერებლად გაიმარჯვა. ანგარიში უკვე მე-6 წუთზე გახსნა ფაიქიძემ, 32-ე წუთზე თევზაძემ თერთმეტმეტრიანით ორამდე გაზარდა ანგარიში, 41-ე წუთზე კი თორღაშვილმა მესამედ აიღო სტუმართა კარი.

მასპინძელთა უპირატესობა მეორე ტაიმშიც აშკარა იყო: ბზიკაძემ (55-ე წუთზე), თევზაძემ (67-ე, თერთმეტმეტრიანით) და დარასელიამ (89-ე) კიდევ სამი ბურთი გაიტანეს ცხინვალელთა კარში.

**თამაზ კოლხიდელი,**
**„ლელოს“ ხაკ. კორ.**

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:0 (1:0)**

**ხობი. ცენტრალური სტადიონი 25 ივნისი.**

**„კოლხეთი“: ბაბუაძე, ჯეჯელავა, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, გვახალია, თევზაძე, ბესთავეი (სიჭინავა).**

**„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, მაჭაცარია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ვაიმეიკისი, მალანია, ზეროზია (ტიბუა), ბიგვავა, ზანჩუსი, აფაქიძე.**

**მსაჯები: ა. კიკაბიძე (ოზურგეთი), ა. შილაკაძე, ე. სილაგავა (ორივე— თბილისი).**

**ამ** შეხვედრას ყველა ძნელად ჩასატარებელი მატჩების ნუსხაში მიუჩენდა ადგილს. მეზობელი რაიონების ცხოვრებაში ვერა და ვერ შეიქმნა ჯანსაღი სპორტული ატმოსფერო, ამიტომაც მატჩამდე ორი დღით ადრე „კოლხეთის“ კლუბის ხელმძღვანელობამ მიიწვია ზუგდიდელი გულშემატკივრები და ფეხბურთის მესვეურნი, რათა მიეღოთ ზომები მატჩის ნორმალურად მსვლელობისათვის, ორივე მხარე მრავალ ნიუანსში შეთანხმდა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

შეხვედრა საინტერესოდ დაიწყო, პირველი შეტევა „კოლხეთმა“ განახორციელა, რასაც მასპინძლებმა კონტრშეტევებით უპასუხეს. პირველ თხუთმეტ წუთში კარგი შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს შეროზიამ, ბიგვავამ, ზანჩუსმა. ამ დღეს „ოდიშის“ რიგებში ორი ლიტველი ფეხბურთელი ვაიმეიკისი და ზანჩუსი გამოჩნდა, რომლებთანაც „ოდიშის“ ყლუბის ხელმძღვანელობამ წლის ბოლომდე დადო კონტრაქტი.

მასპინძლებმა თავიანთი თამაში მე-20 წუთიდან „იპოვეს“, 28-ე წუთზე რუხაძის მიერ ჩაწოდებული მაღალი ბურთი მიიღო თევზაძემ და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს თევზაძემ ხელით გაისწორა ბურთი, ამ ეპიზოდით განაწყენებულმა სტუმართა გულშემატკივრებმა ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს ტრიბუნებიდან.

მეორე ნახევარი დაძაბულად დაიწყო, მე-60 წუთზე თევზაძე უხეშად ეთამაშა აფაქიძეს, დაინიშნა ჯარიმა, მაგრამ ზუგდიდელი მაყურებელი ამას არ დასჯერდა და მინდორზე შეაღწია. წესრიგის დამცველებმა რის ვაი-ვაგლახით შეძლეს სიტუაციის განმუხტვა. 81-ე წუთზე ოდიშელი ფეხბურთელები „კოლხეთის“ მეკარეს სახიფათოდ ეთამაშნენ, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა, იმავე ეპიზოდში კოლხეთელი მცველი ხელით შეეხო ბურთს, არც ამჯერად დაუფიქსირებია მსაჯს დარღვევა, რაც იმის საბაბი გახდა, რომ მაყურებლები კვლავ მინდორზე აღმოჩენილიყვნენ, კვლავ შეჩერდა თამაში, კვლავ ხულიგნური გამოხდომები. ყველაფერმა ამან კი გარკვეული დაღი დაამჩნია მატჩის მსვლელობას, ანგარიში კი აღარ შეცვლილა —1:0 გაიმარჯვა „კოლხეთმა“.

მატჩს შემდეგ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა სერიოზული შენიშვნები მისცა მსაჯებს — მათ ვერ აღკვეთეს უხეშობა, არ გამოიჩინეს პრინციპულობა და არ მიმართეს პროფილაქტიკურ ზომებს.

**ნუგზარ ძვანია,**
**„ლელოს“ კორ.**

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „ივერია“ (ხაშური) 6:1 (4:0)**

**ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 25 ივნისი.**

**ბათუმი: მამინაშვილი, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდაძე, კიკლიაშვილი (კეფალაძე), ზედანია (მაჭუტაძე), მ. მახარაძე, უჯმაჯურიძე, შანიძე, ტულუში, მიხეურაძე (შეყილაძე).**

**„ივერია“: მურადაშვილი, ჯანგურიძე, ცხოვრებაშვილი, ნოზაძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, მაღრაძე, პოზოიანი (რობაქიძე), ქიმერიძე, მღვდელაძე, ტიტვინიძე.**

**მსაჯები: ო. გუნთაძე, ლ. ჩიტაია (ორივე — თბილისი), ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).**

**ბათუმელებმა** შეხვედრა სწრაფი შეტევებით დაიწყეს და უკვე მე-4 წუთზე მ. მახარაძის ჩაწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი შანიძემ და გახსნა ანგარიში — 1:0. მე-16 წუთზე სრულიად მარტივ სიტუაციაში შეცდნენ „ივერიის“ მცველები და უჯმაჯურიძე პირისპირ დატოვეს მეკარე მურადაშვილთან. ბათუმელი თავდამსხმელის მიერ დარტყმული ბურთის შემდეგ ანგარიში ორამდე გაიზარდა. 21-ე წუთზე ტეტუში — [illegible] ეფექტურად [illegible] ნაცია ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით [illegible] 3:0. [illegible] წუთის შემდეგ [illegible] მაშა ტეტუშმა — გასცდა რამდენიმე მცველს და ანგარიში ოთხამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში თითქოს მასპინძლები შეეგუნენ ამ ანგარიშით გამარჯვებას, მთავარნეს ყურადღება, რითაც კარგად ისარგებლა ხაშურელმა ტიტვინიძემ და შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 1:4.

დარჩენილ წუთებში მაჭუტაძემ სოლო რეიდის შემდეგ მეხუთედ აიღო ივერიელთა კარი. შეხვედრას წერტილი შეუყოლაძემ დაუსვა, რომელმაც თავური დარტყმით მეექვსე ბურთი გაგზავნა სტუმართა კარში — 6:1. ასე დამთავრდა მატჩი, რომელსაც ორივე გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

**მუხრან კობალაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„ცხუმი“ (სოხუმი)— „ამირანი“ (ოჩამჩირე) — 1:0 (1:0)**

**სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 25 ივნისი.**

**„ცხუმი“: ყორეოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, სიჭინავა (ჯელაძე), მალანია, გელენავა, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი (გადელია), გაბისკირია, კურტანიანი.**

**„ამირანი“: მიქაია, ჩხვირკაის (კ. შამუგია), ძალამიძე, შელია, ახვლედიანი, აფენდოპულო, თ. შამუგია, დ. კაკუბავა (ღურწკაია), ქობალია, გუჩუა, მ. კაკუბავა (მ. შამათავა).**

**მსაჯები: მ. მირცხულავა, ვ. ხვიჩია (ორივე — ლანჩხუთი), რ. ვერულაშვილი (თბილისი).**

ამ დღეს სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე მრავალმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიით მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩის (ირლანდია-რუმინეთის) შეხვედრის ტრანსლაცია მიმდინარეობდა, ორივე გუნდის თაყვანისმცემლებმა შეავსეს სტადიონის ტრიბუნები და საინტერესო, ლამაზი შეხვედრის მოწმენი გახდნენ.

პირველი ტაიმი „ცხუმის“ უპირატესობით წარიმართა, სოხუმელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს სტუმართა კართან. როგორც ყოველთვის, მასპინძელთაგან გოგრიჭიანი აქტიურობდა. 29-ე წუთზე პაპავამ ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით აიღო სტუმართა კარი.

ტაიმის მიწურულს ოჩამჩირელმა მ. კაკუბავამ ვერ გამოიყენა რეალური შანსი მეტოქის კარის აღებისა, მის მიერ დარტყმული ბურთი ასცდა კარს.

მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა ორივე გუნდი აქტიურობდა. უნდა აღინიშნოს, რომ საიმედოდ ითამაშეს მეკარეებმა — ყორეოლიანმა და მიქაიამ.

**თენგიზ პაპაკორია,**
**„ლელოს“ ხაკ. კორ.**

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 27 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 16 | 11 | 2 | 3 | 35-6 | 35 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 16 | 11 | 2 | 3 | 33-13 | 35 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 15 | 10 | 4 | 1 | 26-5 | 34 |
| „იბერია“ (თბილისი) | 15 | 9 | 4 | 2 | 43-12 | 31 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 15 | 9 | 1 | 5 | 26-15 | 28 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 16 | 8 | 4 | 4 | 29-14 | 28 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 16 | 8 | 4 | 4 | 26-14 | 28 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 16 | 7 | 5 | 4 | 22-17 | 26 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 16 | 7 | 3 | 6 | 21-19 | 24 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 14 | 6 | 4 | 4 | 15-13 | 22 |
| „დილა“ (გორი) | 15 | 6 | 3 | 6 | 22-22 | 21 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 16 | 4 | 5 | 7 | 15-14 | 17 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 15 | 5 | 1 | 9 | 20-34 | 16 |
| „ივერია“ (ხაშური) | 16 | 5 | 0 | 11 | 11-34 | 15 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 16 | 4 | 3 | 9 | 15-29 | 15 |
| „მზიური“ (ბალი) | 15 | 3 | 2 | 10 | 12-39 | 11 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 16 | 2 | 3 | 11 | 12-25 | 9 |
| „ლიახვი“ (ცხინვალი) | 16 | 0 | 0 | 16 | 8-64 | 0 |

„იბერია“ — „მზიური“. ა. კოკლამაზაშვილის ფოტო.

# ჯერი პენალტებზე მიდგა

**ყოველ** წელს საინტერესოდ მიმდინარეობს ქუთაისის ჭაბუკთა ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში. ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობენ 1977 წელს დაბადებული ადგილობრივი და მოწვეული მოსწავლეები. კარგად ისპარეზეს თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის სპორტსმენებმა, რომლებმაც თანმიმდევრობით დაამარცხეს ვანის — 4:0, ქუთაისის ოლიმპიური რეზერვის — 7:0, ზობის — 3:0, ქუთაისის „ტორპედოს“ — 4:0, გაგრის — 9:1 გუნდები და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ გორელ თანატოლებთან — 0:0.

ნახევარფინალში ოცდამეთხუთმეტელთა მეტოქე ფოთის გუნდი იყო, ამ შეხვედრაშიც გამარჯვება თბილისელებს დარჩათ —5:0. გადამწყვეტ, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ 35-ე სკოლისა და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები, თამაშის ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დამთავრდა, 11-მეტრიანები სტუმრებმა უკეთ შეასრულეს და გაიმარჯვეს — 5:4, მათ დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი, მაგრამ გაღაეცათ გრძელმავალი თასიც.

ტურნირზე დაწესებული პრიზების უმეტესობა თბილისელებმა დაისაკუთრეს. საუკეთესო მეკარედ დაასახელეს გ. ნოზაძე, საუკეთესო ნახევარმცველად — დ. ხეტეშვილი. ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად ქიურომ დ. დათვაძე მიიჩნია, „ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის“ პრიზი გადაეცა ორ ფეხბურთელს — გ. გემეზაშვილს და ი. ბუხრიკიძეს, საუკეთესო ბომბარდირი 13 გატანილი ბურთით, ს. ჩალაძე გახდა (ყველა — თბილისი). გუნდს რამდენიმე წელია წვრთნიან თ. ლორთქიფანიძე და გ. აესაკანიშვილი.

* * *

**სურათზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის 35-ე სკოლის გუნდი.**

**გია ახალაძის ფოტო.**

# მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

## მერვედფინალიც მიიწურა

(დასასრული)

ნიის გუნდთან მეოთხედფინალური შეხვედრის წინ ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი გამართოს ქალაქ ბისცეგლის სამოყვარულო გუნდთან.

მსოფლიო ჩემპიონატზე „დაზარალებულთა“ შორის არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერიც. სწორედ ჰოლანდიელებთან მატჩის დროს მას მოპარეს „მერსედესის“ ფირმის მანქანა, რომელიც მისმა მეუღლემ სიბილამ დატოვა მილანის ცენტრში.

**ITALIA'90**

**მატჩი № 41. ირლანდია — რუმინეთი 5:4 (0:0). გენუა.** შეუპოვარი, დაძაბული ბრძოლა გარდახდათ მეტოქეებს. ბრიტანელები თავიანთი ჩვეული სტილით მოქმედებდნენ და ფლანგური გარღვევებით აპირებდნენ ცენტრში შემტევი მოთამაშეების გაყვანას, რაც შეეხება რუმინელებს, აქ ყველაფრის მოთავე იყო გეორგ ჰაჯი, მაგრამ მას ძალზე აკლდა სხვა გამოჩენილი მოთამაშე, უებრო პარტნიორი მარიუს ლეკეტუში. 90 წუთმა ისე განვლო, რომ ვერც ერთმა მხარემ წარმატებას ვერ მიაღწია, ასევე უშედეგოდ დამთავრდა დამატებითი დროც და ბრაზილიელი არბიტრი ხოსე რაატი იძულებული გახდა დამატებითი 11-მეტრიანები დაენიშნა (სხვათა შორის, დამატებითი დროც და 11-მეტრიანებიც პირველად დაინიშნა ამ ჩემპიონატში).

დამატებითი პენალტებისას ირლანდიელები იხსნა მეკარე ატ ბონერმა, რომელმაც მოიგერია რუმინელი ტიმოფტის დარტყმა, შემდეგ კი ირლანდიელმა დეივიდ ოლირიმ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 5:4.

**მატჩი № 42. იტალია — ურუგვაი 2:0. რომი.** იტალიელი ფეხბურთელები კვლავ და კვლავ რომის „ოლიმპიკოს“ მინდორზე გამოდიან და ბევრ სპეციალისტს ესეც გუნდის გარკვეულ უპირატესობად მიაჩნია. ურუგვაელებთან შეხვედრაში საერთო უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ, ისინი გაცილებით უფრო ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. თუმცა მათი შეტევები პირველ ტაიმში უშედეგოდ დამთავრდა.

მატჩის ბედი არსებითად 65-ე წუთზე გადაწყდა, როცა სკოლაჩიმ ძალზე რთული მდგომარეობიდან ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა ბურთი სამხრეთამერიკელთა კარში, სერენას მიერ თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე გატანილი მეორე გოლი კი იტალიელთა უპირატესობის თვალნათელი დადასტურება იყო.

გუშინ დასრულდა ჩემპიონატის მერვედფინალური ეტაპი. ამ დღისთვის გამოვლინდნენ მეოთხედფინალის მონაწილენი იტალია — ირლანდია, ჩეხოსლოვაკია — გფრ.

* * *

**როგორც** ეს ადრევე იყო კალენდრით გათვალისწინებული, 27 28 და 29 ივნისს მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატზე დასვენების დღეებია.

# იტალიური კალეიდოსკოპი



**იტალიის** ნაკრების მეორე მეკარე სტეფანო ტაკონი, რომელიც მომავალში ბუღალტრობას აპირებს, 21 ივნისს არ გამოცხადდა ბოლო გამოცდაზე და მოითხოვა მისი გადავადება მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. განათლების სამინისტროში ტაკონის პრობლემას გულისყურით მოეკიდნენ და უფლება მისცეს, გამონაკლისის სახით, გამოცდა ჩააბაროს 8 ივლისის შემდეგ. როგორც ეტყობა, ფეხბურთელსა და მის პროფესორებს ოდნავადაც არ აეჭვებთ იტალიელთა თამაში ფინალურ მატჩში.

**1990** წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე დამყარდა ერთი რეკორდი — ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს თერთმეტიდან ხუთი პენალტის გატანა. წინა ჩემპიონატზე ეს მაჩვენებელი ოთხს უდრიდა.

**სამხრეთკორეულმა** გაზეთებმა მკაცრად გააკრიტიკეს ქვეყნის ნაკრების გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატზე. კრიტიკა, რა თქმა უნდა, ნაკლები იქნებოდა, რომ არა სამხრეთკორეელთა საქციელი ურუგვაელებთან მატჩის წინ. ჟურნალისტები აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ვარჯიშის ნაცვლად ფეხბურთელები ვენეციაში გაემგზავრნენ ექსკურსიაზე.

**ბედნიერი** დღე გაუთენდათ მილანის გერმანული სკოლის მოსწავლეებს, როდესაც მათთან სტუმრად მივიდნენ გფრ-ს ნაკრების ფეხბურთელები. რაიმონდ აუმანი, რუდი ფიოლერი და იურგენ კლინსმანი. მათემატიკური ფორმულების ამოხსნის ნაცვლად ისინი მთელ საათს ფეხბურთზე ლაპარაკობდნენ.

**მსოფლიოს** XIV ჩემპიონატის პირველ 36 მატჩში გატანილია 82 გოლი. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. შედარებისთვის, 1982 და 1986 წლებში, ეს მაჩვენებელი შესაბამისად 100 და 84 გოლს უდრიდა.

იტალიის ჩემპიონატის მერვედფინალური ტურნირის დაწყებამდე მსოფლიო პირველობების მატჩებში გატანილი იყო 1410 გოლი (საშუალოდ 3,15 ბურთი ერთ მატჩში).

**სპორტის** სხვა სახეობათა წარმომადგენლებისგან განსხვავებით ფეხბურთელები იშვიათად იყენებენ აკრძალულ მასტიმულირებელ პრეპარატებს. წლევანდელ ჩემპიონატზე, დებულების თანახმად, ყველა მატჩის შემდეგ დოპინგზე ისინჯება თითო გუნდიდან ორ-ორი ფეხბურთელი. ყველა ანალიზმა უარყოფითი შედეგი აჩვენა. მერვედფინალებიდან დაწყებული დოპინგ-კონტროლს გაივლის ყოველი გუნდიდან სამ-სამი ფეხბურთელი.

**ცნობილ** იტალიელ მეკარეს დინო ძოფს ეკუთვნის თავისებური რეკორდი — მას საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვია 1143 წუთის განმავლობაში. ამ რეკორდს ნელ-ნელა უახლოვდება მეორე იტალიელი მეკარე ვალტერ ძენგა, უკვე 6,88 წუთია „მშრალად თამაშობს“. „რა თქმა უნდა, ვოცნებობ ამ რეკორდის მოხსნაზე, — განაცხადა ძენგამ, — მაგრამ მაინც არ დამწყდება გული, თუ ურუგვაელებს დავამარცხებთ ანგარიშით 2:1, ან უფრო უკეთეს შემთხვევაში — 3:1“.

**იუპი-ს** სააგენტოს ცნობით მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირებში გაშვებული 82 გოლიდან 46 გატანილია მარჯვენა ფეხით, 21 ბურთი თავური დარტყმების შემდეგ გაეხვია კარის ბადეში, 15— გატანილია მარცხენა ფეხით. შედეგიანობა იზრდება მეორე ტაიმებში — 53 გოლი. აქედან 21 გატანილია მატჩის ბოლო 15 წუთში. პირველ 15 წუთში მხოლოდ 8 შეტევა დამთავრდა შედეგიანად.

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელის ლუის სუარესის აზრით, წლევანდელი ჩემპიონატი არ გამოირჩევა რაიმე ტაქტიკური სიახლეებით.

მომავალი ჩემპიონის ვინაობაც არ იწვევს მასში არავითარ ეჭვს: „არავისი არ გვეშინია და ყველა გუნდის დამარცხება შეგვიძლია, — თქვა სუარესმა. — თუ ვინმე მკითხავს, ვინ არის ჩემპიონატის საუკეთესო გუნდიო, თამამად ვუპასუხებ — ესპანეთის ნაკრები“.

**მსოფლიო** ჩემპიონატის მსვლელობისას იტალიაში გამოცხადდა, რომ გაიმართება მეტად საინტერესო ამხანაგური მატჩი ვეტერან ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ამ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ვეტერანი ფეხბურთელები, მოსალოდნელია მინდორზე პელეს, ეუსებიოს, ზიკოს, პუშკაშისა და სხვათა გამოსვლა.

**სსრ კავშირის** ნაკრებისა და იტალიის „იუვენტუსის“ მოთამაშე ალექსანდრე ზავაროვი მომავალი სეზონიდან ითამაშებს საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ნანსიში“.

როგორც „ნანსის“ ხელმძღვანელობა იუწყება, ა. ზავაროვთან კონტრაქტი დადებულია 3 წლით. გათვალისწინებულია, რომ უახლოეს სეზონში მისი მონაწილეობა საფრანგეთის ჩემპიონატში გაფორმდება როგორც ამ მოთამაშის „იჯარა“ იტალიის „იუვენტუსთან“, ვინაიდან ადრინდელი შეთანხმება საბჭოთა ფეხბურთელსა და „იუვენტუსს“ შორის ჯერ არ გასულა. როგორც „ნანსის“ პრეზიდენტი ჟ. ბეჟენსკი იუწყება, საფრანგეთის კლუბის წარმომადგენელი გაემგზავრება სსრ კავშირში, სადაც მოლაპარაკება ექნება ამ ახალი კონტრაქტის თაობაზე სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან.

**როგორც** იტალიიდან იუწყებიან, რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელმა მარიუს ლეკეტუშმა, რომელმაც თავი გამოიჩინა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში, მიიღო იტალიის ცნობილი კლუბის „ფიორენტინის“ მიწვევა და 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა მასთან. ბუქარესტის „სტიაუას“ ამ გარიგების შედეგად 3 მილიონ დოლარს გადაურიცხავენ.

როგორც იტალიური „კორიერე დელო სპორტი“ იუწყება მ. ლეკეტუში წელიწადში 350 ათას დოლარს მიიღებს, კომფორტულ ვილაში იცხოვრებს და საშუალება ექნება კლუბის ხარჯზე წელიწადში ხუთჯერ გაემგზავროს შინ.

„ფიორენტინის“ ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ რუმინელი ფეხბურთელი დაიკავებს რობერტო ბაჯოს ადგილს, ის კი „იუვენტუსმა“ სარეკორდო თანხად 16 მილიონ დოლარად გაყიდა.

**ბრიტანეთის** სპორტულ პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ინგლისელ გულშემატკივართა ხულიგნური საქციელის გამო მსოფლიოს მომდევნო, 1994 წლის ჩემპიონატში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება, ინგლისის ნაკრებს არ დაუშვებენ.

მაგრამ გაზეთების ეს ცნობა უარჰყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა მიგელ გალანმა. მან განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მმართველ ორგანოებში ამის შესახებ ლაპარაკიც არ ყოფილა.

**როგორც იუპი-ს** სააგენტო იუწყება ლიბანიდან, ბეირუთში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის დროს პრაქტიკულად წყდება სროლა მებრძოლ რაზმებს შორის.

## ჩემპიონები— დაუმარცხებლად

**ნორჩ** ფეხბურთელთა ტურნირები განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ჩვენში. ძალზე პოპულარული გახდა „ტყავის ბურთის“ პრიზის ასპარეზობა 12-13 წლის ჭაბუკებს შორის. წელს ამ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისის ვაკის რაიონის 84-ე სახლმართველობასთან არსებულმა გუნდმა, რომელიც მე-6 გერმანული საშუალო სკოლის მოსწავლეებით (მწვრთნელი გურამ ჩომახიძე) არის შედგენილი. ქვეჯგუფში მათ მოუგეს საბურთალოს, სჯარხნო, და ლენინის რაიონის წარმომადგენლებს, ნახევარფინალში კი მთაწმინდის რაიონის თანატოლებს აჯობეს და ფინალში შეხვდნენ მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ ოქტომბრის რაიონის ფეხბურთელებს.

ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 3:3, გამარჯვებული არც დამატებით დროში გამოვლინდა. თერთმეტმეტრიანი საჯარიმოებით კი ვაკელებმა გაიმარჯვეს. ამ გუნდში თამაშობდნენ: გიორგი ნემსიწვერიძე, დათო ღვალაძე, ლევან შაორშაძე, დიტო შარვაძე, ბექა ცინდელიანი, ლევან გაბუნია, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ომიაძე, გიორგი ლორთქიფანიძე, დათო და რატი ამაღლობლები, მიშიკო აბსანაძე, არჩილ ბოკერია, ბექა ევგენიძე, შოთა მილორავა, გიორგი შამულაშვილი, გია აფციაური და გიორგი ნიორაძე.

მცირე შესვენების შემდეგ ვაკის რაიონის ნორჩი ფეხბურთელები რესპუბლიკურ გათამაშებაში ჩაებმებიან.

## უიმბლდონის სტარტები

**როგორც** იქნა, ეს დღეც დადგა — ლონდონში დაიწყო ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის კორტებზე — პოპულარული უიმბლდონის ტურნირი, რომლისთვისაც მთელი წელია ემზადებიან სპორტსმენები. ეს გულმოდგინე სამზადისი ზოგს, რა თქმა უნდა, წარმატებას მოუტანს. აი, იანიკ ნოასთვის (საფრანგეთი), კი იგი დამღუპველი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, პირველსავე წრეში დამარცხების შემდეგ (სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირასთან — 4:6, 3:6, 2:6) მან სინანულით განაცხადა: ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მსხვერპლი ვარ. ვქომაგობდი კამერუნის გუნდს და მთელი დღე ტელევიზორთან გავატარე. კარგი რომ ფეხბურთმა მაინც გამიმართლა. კამერუნის გუნდი მეოთხედფინალში ითამაშებს! ნოას რანგის ჩოგბურთელისთვის, ეს ვერაფერი ნუგეშია.

საბჭოთა სპორტსმენებმა სტარტზე ერთი გამარჯვება მოიპოვეს და ორი მარცხი განიცადეს. ესეც, ცხადია, უარყოფითი ბალანსია. გაიმარჯვა კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა, რომელმაც არც ისე სუსტ იუგოსლავიელ სლობოდან ჟივონოვიჩს აჯობა — 6:7, 7:6, 7:6, 6:1. როგორც ხედავთ, ბრძოლა აქ საკმაოდ მძაფრი და დაძაბული იყო. უიმბლდონის ტურნირს უკვე გამოეთიშნენ ხარკოველი დიმიტრი პოლიაკოვი და უფელი ანდრეი ჩესნოკოვი. პირველი უიმბლდონის ექსჩემპიონ ავსტრალიელ პატ კეშთან დამარცხდა (6:4, 6:7, 7:5, 4:6, 1:6), მეორე, ასევე ავსტრალიელ უოლ მაზურთან — 3:6, 4:6, 2:6.

გათამაშების სტარტზე გამარჯვებები მოიპოვეს: ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) — კრისტიან მინიუსთან (არგენტინა), პოლ ანაკონტამ — ლეიფ შირასთან (ორიგე — აშშ), გორან ივანიშევიჩმა (იუგოსლავია) — ანდრეას ლეჰთან (გფრ).

## ვენჭისსკრა უკვე მორიგეზე

**ხანგრძლივი** „ბოიკოტის“ შემდეგ საბჭოთა კალათბურთელები იასპარეზებენ ევროპულ საკლუბო ტურნირებში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამ სახეობის საკავშირო ფედერაციამ. უკვე მოეწყო კენჭისყრა და ცნობილი გახდა პირველ წყვილთა ვინაობა.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ცსკა შეხვდება ბუქარესტის „სტიაუას“. პირველი მატჩი გაიმართება 27 სექტემბერს ბუქარესტში, განმეორებითი — 1 ოქტომბერს მოსკოვში. ფავორიტები (იუგოსლავიის „იუგობალასტიკა“, იტალიის „სკავოლინი“, საფრანგეთის „ლიმოჟი“, და ესპანეთის „ბარსელონა“), ასპარეზობაში ჩაებმებიან მეორე ტურში.

მოსკოვის „დინამო“, რომელიც ითამაშებს თასების მფლობელთა თასზე, პირველ მატჩს ბუდაპეშტის „დოჟასთან“ სტუმრად გამართავს 23 ოქტომბერს, შინ კი 30 ოქტომბერს მიიღებს მეტოქეს.

კორაჩის თასზე საბჭოთა კავშირიდან დაშვებულია ოთხი გუნდი. პირველ ტურში, რომელიც გაიმართება 26 სექტემბერს — 3 ოქტომბერს მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: იცედ-ი (ბუქარესტი) — ვეფ (რიგა), კტპ (ფინეთი) — „ბუდიველნიკი“ (კიევი), ასკ (ალმა-ათა) — „აკადემიკი“ (ვარნა), „კალევი“ (ტალინი) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოლო ორ წყვილს შორის გამარჯვებულებს, შემდგომ ეტაპზე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ იუგოსლავიის კლუბების „ციბონასა“ და „ზადარის“ სახით.

### „სპორტლოტო“

**ბაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 23-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.385.642 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია; 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 1.858 მანეთია, ოთხისთვის (1.236) — 50, სამისთვის (25.362) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 34.656 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—36, 3—639.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 14.405.386 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (15) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (2.280) — 310, სამისთვის (108.609) — 12.

საქართველოში: დაშვებულია 425.856 ვარიანტი. 5—0, 4—75, 3—3.013.

23-ე და 14-23 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 30 ივნისიდან 30 ივლისის ჩათვლით.

* * *

**ბაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 24-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.347.619 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (68) მოგება 594 მანეთია, ოთხისთვის (2.554) — 23, სამისთვის (34.527) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 29.961 ვარიანტი. 6—0, 5—4, 4—53, 3—823.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 14.254.579 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (34) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.909) — 121, სამისთვის (216.385) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 384.149 ვარიანტი. 5—1 (მარნეული), 4—176, 3 — 6.171.

24-ე და 15-24 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 7 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
ფერილებისთვის — 880008,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივანი — 98-97-55,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54,
„მერაწი“ — 98-97-28, „ფოტო“ — 98-97-31.

ფასი
ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის „ნაციონალური ენციკლოპედიის“ სტამბა. 380036, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
ბეჭდება ოფსეტური წესით ხელოვნური კორპუსში: ხიშვარიულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებიან.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779